



# „ბრძელი პასი“ საქართველოდან გალტიოსპირაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე, გენერალური მდივანი დავით კვინიტაძე, სამეცნიერო-მეთოდური, სამედიცინო და ნაკრები გუნდების განყოფილების უფროსი რამაზ შენგელია და იურისტი ევენი მეტრეველი ლიტვასა და ლატვიას იყვნენ, სადაც ხელშეკრულებები დადეს. მუშაობისას ლიტველებს უთქვამთ ეს აისაზა კიდევ ხელშეკრულებაში, ჩვენ ფიფა-ში შესვლისთანავე თქვენზე ახლოს ვართ და ვაწვევართ თანამშრომლებს მოიწონეს. ჩვენი დელეგაციის შეკითხვაზე, ამით საკუთარ საქმეს რომ არ ირთულებენ, მათ უპასუხიათ, რომ ისინი ზოგად პრინციპებს „გამორჩენაზე“ მაღლა აყენებენ. ბალტიისპირეთში ვიზიტის შესახებ ვესაუბრეთ ბატონ დავით კვინიტაძეს.

— ბატონო დავით, რამდენადაც ვიცით ჩვენი ვილნიუსში ბრძანდებოდით...  
— დიას, პირველად ლიტვის საფეხბურთო კავშირს ვეწვიეთ. გვექონდა ოფიციალური შეხვედრა მის თავმჯდომარესთან, ბატონ იარაშუნასთან. განვიხილეთ მხარეთა მომავალი თანამშრომლობის საკითხები, გააფორმეთ ხელშეკრულება. ეს ყველაფერი იმავე დღეს ტელევიზიით გადაიდა. ხელშეკრულება უკვე ამოქმედდა. მაგალითად, ერთ-ერთი

პუნქტი ითვალისწინებს მსახურა გაცვლას. უკვე უახლოეს მომავალში ველით ლიტველ მსახურა პირველ ბრძანებას. ლიტვაში, როგორც ცნობილია, კარგ სპორტულ ფორმას კერავენ. ჩვენ წამოვიდეთ რამდენიმე ნიმუში, რომლებიც ფედერაციის თანამშრომლებმა მოიწონეს. ახლა ჩვენი წარმომადგენელი რომან რამიშვილი წასულია მათ ჩამოსატანად. თუ მკითხველისთვის საინტერესო იქნება, გეტყვით მათი საფეხბურთო კავშირის სტრუქტურაზეც. თავმჯდომარე საზოგადოებრივ საწესიებზეა, პაკეთ სამი შტატის თანამშრომელი. დანარჩენი 13-14 კაცი ხელშეკრულებით არის გაფორმებული.

— განსხვავებით თქვენი ფედერაციისაგან, სადაც 80-ზე მეტი საშტატო ერთეულია...  
— საშტატო ერთეული 60-ზე მეტია, მაგრამ თანამშრომელი ნაკლები. 12 კაცი გაზეთში მუშაობს, არის მოსამსახურე პერსონალი. მოკლედ, ჩვენთან წმინდა საფეხბურთო საკითხებზე 17 ადამიანი მუშაობს. გაითვალისწინეთ, რომ ლიტვაში სამი ლიგაა. უმაღლესში 14 გუნდია, ასე რომ... სხვათა შორის, მათ ძალიან უჭირთ ფინანსურად, პრაქტულად და სპორტის დეპარტამენტს არიან შეუძლებელი. ახლა ფიფა-ში მიღებას ელოდებიან, შემდეგ კი

თავიანთი კავშირის გარდაქმნას დაიწყებენ. ჩვენ ვნახეთ მათი პროექტი, რომლის მიხედვითაც სოლიდური ორგანიზაციის შექმნას აპირებენ. ჩვენ წაღებელი გვექონდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დოკუმენტები და სანორმატივო აქტები, რომელთა შესახებ მათ ესაუბრა ბატონი ევენი მეტრეველი. ლიტველმა კოლეგებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს და სანორმატივო აქტების ასლები დაიტოვეს.

— თქვენ თქვით რომ ისინი ფიფა-ში მიღებას ელოდებიან...

— დიას, მათ შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე გაგზავნილი ჰქონდათ. ფიფა-ს გენერალური მდივნის, ბლატერის მოწვევის შესაბამისად 4 ნომბერს ლიტვის დელეგაცია მთავრობის დონეზე ციურაქს მიემგზავრება. ლიტველი კოლეგები დარწმუნებული არიან, რომ წელს 7 დეკემბერს ფიფა-ს კონგრესის სხდომაზე, რომელიც ნიუ-იორკში გაიმართება, მათ დროებით წვერად მიიღებენ. როგორც იცით, მუდმივი წევრის სტატუსს ანიჭებს ფიფა-ს კონგრესის სხდომა, რომელიც გაისად გაიმართება. დროებითი წევრია ფორმალურად. ლიტვის გუნდები მანამდე ჩართვებიან საქართველოს ოფიციალურ შეჯიბრებებში.

— და თავს არ შერაცხვენ?

— ჩემი აზრით, ეროვნული ნაკრები სუსტი არ უყოლებათ, რადგან თავს მოუყრიან საზღვარგარეთ მოთამაშე ლიტველებს. რ.ც. შეეხება საკლუბო გუნდებს, ისინი თავად წუნან, რომ სუსტი გუნდები პაკეთ. დღეს ლიტვის ჩემპიონატში ლიდერობენ „ვერანსის“ „პანურუსი“ და „ბანგაგრანისი“. ცნობილი „გალირიისი“ კი ფაქტობრივად სხვა გუნდია. მისი წამყვანი ფეხბურთელები ლიტვაში აღარ მოიპოვებენ. იგი დღეს მათე ადგილზეა.

სხვათა შორის, ლიტვის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარე იარაშუნასი დიდი სამუშაო ორგანიზაციის ხელმძღვანელია და კლუბ „პანურუსს“ პატრონობს. ლიტვაში აქტი ფეხბურთის განვითარების გეგმა. ისინი შრომისმოყვარე, მიზანმიმართული, დისციპლინირებული ხალხია და მეტყურა, რომ მათი ფეხბურთის დონე აიწვეს, თუმცა ალბათ რამდენიმე წელი დაჭირდება.

— ლატვიელებთან რა სახის ხელშეკრულება დადეთ?

— ლატვიასი ზუსტად ისეთივე დოკუმენტი შედგა, როგორც ლიტვაში. მათ საფეხბურთო ორგანიზაციას ჩვენსავე ფედერაცია ქვია. იგი „დინამოს“ სტადიონზე მდებარეობს, რომელიც საშინელ დღეშია. სპორტსაზოგადოება

„დინამო“ ვისაც ეკუთვნოდა ცნობილია, ახლა ფედერაცია ცდილობს სტადიონი დაიქვემდებაროს. ლატვიასი ეროვნული პირველობა არ ტარდება, ისინი სსრკ-მეორე ლიგის ერთ-ერთ ზონაში გამოდიან. ჩვენ დავესწარით მერე და მესამე ადგილებზე მყოფი „პარაუგავს“ და „ცელტნიქსის“ მატჩს (ლიდერია რიგის „ფორუმ პონტო“, არ მინდა იქურ კოლეგებს ვეწვინო, მაგრამ მათი თამაშის დონე დაახლოებით ჩვენი მესამე ჯგუფის შესაბამისია. კიდევ ერთი: ლიტვაში ლიტველები თამაშობენ, ლატვიასი კი... იქაურმა ფეხბურთის მესვეურებმა, არაოფიციალურად გვითხრეს, რომ იმდენივე არიან ბავშვთა სპორტსკოლებში ეროვნული საფეხბურთო ჯგუფები შექმნან.

— და ბოლოს, ისევ ხელშეკრულებებს დაფიქრდეთ. თქვენი პარტნიორებიდან ვინ მოაწერა მათ ხელი?

— ლიტვაში — ქვეყნის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარე იარაშუნასი, პასუხისმგებელი მდივანი დინამიკისმა, კომისიების თავმჯდომარეებმა პაბერ-ჯივსმა და მეფაისმა. ლატვიასი — ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვილსმა და ლუკინმა, შემსრულებელმა დირექტორმა გეისტარდსმა და მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე ულბერგსმა. ესაუბრა ილია ბაბუნაშვილი.

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და ლიტვის საფეხბურთო კავშირს შორის დადებული ხელშეკრულების კონტენტები:

1. რესპუბლიკათა ფედერაციების დამოუკიდებლობის ცნობა;
2. ნაკრების (ეროვნული, ახალგაზრდული, ქაბუკა) დონეზე შეხვედრების და ტურნირების მოწყობა 1992 წლის 25 ივნისიდან — 5 ივლისამდე, 5-10 აგვისტოს, 25 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე;
3. ცალკეულ კლუბებს შორის ხელშეკრულებათა დადება და მათი შეხვედრების ორგანიზაცია მხარეთათვის მოსაზრებულ დროს, რესპუბლიკურ შეჯიბრებათა კალენდრების გათვალისწინებით;
4. 1992 წლის 25 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებს შორის დამოუკიდებლობის თასის

5. მოსახერხებელ დროს საქართველოსა და ლიტვის მაღალხარისხიან სპორტულ ბაზებზე საზოგადო-საერთო შეჯიბრების და ახალგაზრდი მატჩების ჩატარება;
6. მატჩების მომსახურებისათვის მსაჯთა ბრიგადებს გაცვლა;
7. სხვა სახელმწიფოთა გუნდების მონაწილეობით საერთაშორისო ტურნირების ჩატარების დროს მოლაპარაკებულ მართა პრიორიტეტული მონვევა;
8. საერთაშორისო სარეგიონლ მიზანმიმართული სარეკლამო-სამუშაოების ჩატარება, მათგანების ღირსებასა და პოზიციების დაცვა;

9. კონფერენციების, სემინარების, მწვრთნელთა, მსაჯთა და სხვა საეციალისტთა სიმპოზიუმების ჩატარება, გამოცდილების გაზიარება;
10. მოსახერხებელ დროს საუკეთესო გუნდებში მწვრთნელთა სტაჟირება;
11. ორივე ფედერაციის გაზეთებს შორის კონტაქტების დამყარება, ფეხბურთის პროპაგანდის მიზნით;
12. საცნობარო-საინფორმაციო მასალების, კალენდრების, დებულელების, ინსტრუქციების, მეთოდური ლიტერატურის და სხვა დოკუმენტების გაცვლა;
13. თანამშრომლობა საფეხბურთო სპორტული საქონლის მიწოდებაში.



„იბერია“ — „დილა“ 4:1

**ეროვნული ჩემპიონატი XII ტურნი**

სულორი — კოლხეთი	2:1	შევატაძე-06 — მრეხვეტი	3:2
სამტრედია — გორი	2:0	ამირანი — მერტალი	5:0
ოდიში — ცხუმი	2:0	გური — სამგურალი	2:0
კოლხეთი-13 — გორდა	1:1	ტუთაიანი — ალაზანი	4:0
ბათუმი — მარბუტი	3:1	იბერია — დილა	4:1

გადადებული მე-9 და მე-10 ტურები გაიმართება 7 და 19 ნოემბერს. მე-8 ტურის გამორთვებული შეხვედრა „იბერიასა“ და „მარბუტის“ შორის ჩატარდება 27 ოქტომბერს.

ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით ოზურგეთის სტადიონი დისკვალიფიცირებულია 8 თამაშით. კლუბი „მერტალი“ დაჯარიმდა 15 ათასი მანეთით.

**ბათამაშვილის ცხრილი**

	თ.	ბ.	ფ.	წ.	ბ.	ჭ.
1. გორდა	10	8	3	0	24:7	26
2. ცხუმი	10	8	0	2	28:14	24
3. ოდიში	10	8	0	2	16:9	24
4. გურია	10	7	0	3	24:14	21
5. იბერია	8	6	0	3	20:7	18
6. შევატაძე-06	10	6	1	4	16:18	16
7. შილერი	10	6	1	4	9:12	16
8. სამტრედია	10	6	0	5	13:19	16
9. ქუთაისი	10	4	1	5	10:17	13
10. მრტები	10	4	1	5	16:14	13
11. დილა	10	4	0	6	12:16	12
12. სამგურალი	9	4	0	5	10:16	12
13. კოლხეთი-13	10	3	3	4	12:13	12
14. მარბუტი	9	3	2	4	12:16	11
15. სულორი	10	3	3	4	11:17	11
16. ბათუმი	10	3	1	6	14:20	10
17. ალაზანი	10	3	1	6	8:16	10
18. კოლხეთი	10	2	3	5	13:18	9
19. ამირანი	10	2	0	8	11:19	6
20. მერტალი	10	1	2	7	9:25	6

ცხრილში გათვალისწინებული არ არის გუშინდელი, 18-ე ტურის შედეგები.

## კალათბურთი

# ახალი ფორმულით

დღეს იწყება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში. პირველი მატჩები ჩატარდება ქუთაისსა და თელავში, თბილისის ტური კი 28 ოქტომბერს დაიწყება. ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად საკმაოდ დიდი მუშაობა გასწავია ახლად შექმნილმა საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ. ვესაუბრებით ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს როლანდ ხომერიკს.

— ბატონო როლანდ, რამ განაპირობა ასპარეზობის სისტემის შეცვლა?

— როგორც ვახსოვთ, საქართველოს პირველობა ადრე მიმოსვლითი სისტემით ტარდებოდა, რაც საკმაო ხარჯებს და დროს მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან მსაჯთა კვალიფიკაცია საკმაოდ მაღალია, არ ხერხდებოდა ყველა მატჩის მსაჯებით უზრუნველყოფა. ამას დაემატა ისიც, რომ რამოდენიმეჯერ გადავდეთ ჩემპიონატი სხვა და სხვა მიზეზით. ჩვენი ფედერაციის ბოლო სხდომაზე გუნდების ხელმძღვანელებმა მოითხოვეს ასპარეზობის ტურებად ჩატარება. შემუშავდა სისტემა და მივიღეთ საკმაოდ ოპტიმალური ვარიანტი. თითოეულ გუნდს უწევს 22-22 თამაში, თანაც ყველა გუნდი ერთმანეთს ხვდება.

— ადრე დიდი კამათი იყო სტუდენტ კალათბურთელთა გამოსვლაზე ამა თუ იმ გუნდში...

— ეს ძალიან მტკივნეული საკითხია. თუ ადრე სტუდენტი შეიძლება „ძალით“ გეთამაშებინა გუნდში გარიცხვის ან სხვა სასჯელის შიშით, ახლა სიტუაცია შეიცვალა. ეს დრო მოიტანა. დროა კალათბურთი გადავიდეს საკლუბო სისტემაზე. რომ ნახოთ სადღესოდ ჩვენთან შემოსული გუნდების განაცხადები დაინახავთ, რომ ბევრი სტუდენტი კალათბურთელი გამოდის არა თავისი სასწავლებლის სახელით, არამედ რომელიმე კლუბის, მაგალითად, რუსთავეის „აზრტის“ ან თელავის კლუბის სახელით. საქმე ის არის, რომ კლუბების ხელმძღვანელობა კარგ ხელდასს უხდის სპორტსმენებს. ბოლოს და ბოლოს ეს პიროვნული საკითხია: არ უნდა კაცს შენთან თამაში? წავიდეს სადაც უნდა. თუმცა მინდა ავღნიშნო ერთი სამწუხარო და დამაფიქრებელი ფაქტი — უდიდესი საკალათბურთო ტრადიციების მქონე ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი სწორედ ზემოთ აღნიშნული პრობლემების გამო უარს აცხადებს ჩემპიონატში მონაწილეობაზე, რის გამოც გუნდების რიცხვი თერთმეტამდე შემცირდა.

— ჩვენი წინა შეხვედრის დროს საუბარი გვექონდა დისციპლინის ხშირ დარღვევებზე, მიიღო თუ არა ფედერაციამ რაიმე განსაკუთრებული ზომები?


— დიას, ეს ჩვენი სდომების დროს ცალკე მსჯელობის საკითხი იყო. ახლა ვაგადაცნობ ჩვენს მიერ დადგენილ ჯარიმებს: გაძევებული მოთამაშე ტოვებს ორ თამაშს და ჯარიმდება 400 მანეთით, განმეორებითი გაძევების შემთხვევაში დასკვალიფიკაცია წლის ბოლომდე, ჯარიმა — 500 მანეთი. ყოველ ტექნიკურ შენიშვნაზე ჯარიმა 200 მანეთია, ორი

ტექნიკურის შემდეგ, სპორტმენი გამოტოვებს თამაშს და დაჯარიმდება. ყველაზე დიდი ჯარიმა დაწესებულია მოედანზე ჩხუბისათვის — 2000 მანეთი. ის მოთამაშე, გუნდი ან მწვრთნელი, რომელიც თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, დაისჯება დისკვალიფიკაციით.

— დაწესებულია საკმაოდ დიდი ჯარიმები მსაჯებს თუ მომეტებთ გასამრჯელო?

— ჩვენთან არსებული მსაჯობის დონის მიხედვით უხერხულიც კი იყო ერთი მატჩის მსაჯობისათვის ადრე დაწესებული თანხა — 10 მანეთი. ფედერაციამ ეს თანხა 50 მანეთამდე გაზარდა. რამდენად საკმარისია ეს, თქვენც კარგად ხედავთ, მაგრამ მინც წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

ესაუბრა დიმიტრი ობოლაძე



საქართველოს 1990 წლის ჩემპიონატის ფინალური მატჩი ერთმანეთს ხვდებიან ფოკალტურის ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები.



მსოფლიო თასის გათამაშების წინა მიმოხილვაში ვივარაუდოთ, რომ მეოთხედფინალებში ახალი ზელანდია, შოტლანდია, ავსტრალია და ინგლისი გაიმარჯვებენ. თუ პირველმა ორმა ეს ადვილად შეძლო, ინგლისსა და ავსტრალიას დიდი ჯაფა დაევათ.

პარისში საფრანგეთმა და ინგლისმა ფიცხელი ბრძოლა გააჩაღეს. ფინალურ სასტყველად ხუთი წუთით აღრე ანგარიში

მაშინ ისინი სანქციებს გადაურჩნენ და ალბათ, ახლაც გადარჩებიან, რადგან ამ ინციდენტს ვერ შეეცნენ ტელევიზიის მუშაკები და იგი მხოლოდ „სარაგბო კულუარებში“ გახსნა. შეჯიბრების სარაგბო კომიტეტის თავმჯდომარემ ახალზელანდიელმა რას თომასმა კი საქმე, რატომღაც ადვილად შეწყვიტა.

სამი წუთი ამოიკრებდა ირლანდიელებს გამარჯვებისაგან ავსტრალიელთა წინააღმდეგ. დიდებულად ითამაშა ირლანდიელთა დამრტყმელმა რალფ ჯიისმა — 15 ქულა მიაგროვა. ჯიისი უკვე ვეტერანია, ნაკრებშიც ბევრჯერ იყო ხმოვანი, მაგრამ აქამდე მხოლოდ ერთი ტესტი ითამაშა —

მეტოქეების დამარცხების ოცნება კი მათ, ალბათ, შემდეგისათვის გააღდეს.

კურიოზულ სიტუაციაში ახალი ზელანდიის გუნდი მათი მოთამაშე მსოფლიოს საუკეთესო ფრთის მორიგნალი მაიკლ ჯონსონს რელიეფური მრწამსის გამო კვირადღეს მოედანზე არ გადის. უკვე ნათამაშე ოთხიდან ჯონსონმა ორი არ ითამაშა (მათ შორის არც ნახევარფინალი). არ გამოვა იგი მოედანზე არც ზეგ კვირას, როცა ახალი ზელანდია ავსტრალიას შეხვდება. ზვალ კი, ინგლისი და შოტლანდია ედინბურგში ითამაშებენ პირველ ნახევარფინალს. ჩვენი პროგნოზის მიხედვით, ფინალში ახალი ზელანდია და ინგლისი უნდა გავიდნენ.

შენიშნავთ, რომ ოთხი ნახევარფინალიდან ორი ბრიტანეთის, ხოლო ორი ბრიტანეთის კოლონიაყოფილი ქვეყნების წარმომადგენელია, სადაც რაგბი თავის დროზე ბრიტანულმა შეიტანეს. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს ასეთი ქვეყნების პრიორიტეტს რაგბის სამყაროში და იმას, რომ რაგბი ქვეყნობრივად ბრიტანული თამაშია.

## ყველაზე სასარგებლო მოთამაშე

კალატორის ეროვნული ასოციაციის მრავალრიცხოვანი პრიზების შორის ყველაზე უფრო პრესტიჟულია NBA-ს ჩემპიონატის ფინალური მატჩის ყველაზე უფრო სასარგებლო მოთამაშისათვის დაწესებული ჯილდო — MVP.

გულშემატკივრებისთვის საინტერესო იქნება შეიტყონ თუ ვინ ფლობდა ამ საპატიო ჯილდოს ბოლო ათწლეულში. ამ პრიზს ყველაზე მეტჯერ ფლობდნენ „ლოს-ანჯელეს ლიქიერსის“ სახელგანთქმული მცველი ირვინ „მეჯიკ“ ჯონსონი (1980, 1982, 1987) და „ბოსტონ სელტიქსის“ თავდასხმეული ლარი ბერდი (1981, 1984, 1986). 1983 წელს ჯილდოს მფლობელი გახდა „ფილადელფია 76“ ცნობილი თავდასხმეული ჯულიუს ირვინი. 1985 წელს ამ პრიზის მფლობელია ლეგენდარული ქერიმ აბდულ ჯაბარი. 1988 წელს NBA-ს ჩემპიონატში წარმატება კვლავ „ლოს-ანჯელეს ლიქიერსმა“ იხეიმა, ხოლო

უფრო ახალი წიგნი „მეგობრული“ ევროპის საფეხბურთო ცენტრების განვითარებისათვის სენსაციურად ნება დართო მონაწილეობა მიიღოს მისი ევროპაში მიმდინარე შეჯიბრებებში. აზვარად, ისრაელის კლუბები გაიხიდან ევროპისთვის ყველა გათამაშებაში ჩაებმებან ქვეყნის ეროვნული ნაკრები კი 1986 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გამოვა.

მოკრივეთა მსოფლიო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ნება დართოს საბჭოთა მოკრივეს ანდრეი რუდენკოს (წონითი კატეგორია 86,2 კგ-მდე) ჩაებას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში. მისი შეხვედრა ფრანგ სპორტსმენ ანაკლტ ვაშასთან ნოემბერში საფრანგეთში გაიმართება. მოკრივეთა მსოფლიო საბჭოს ვერსიით რუდენკო ჯერჯერობით მეთერთმეტე ადგილზეა.

პირველად, ინვალიდთა სპორტის ისტორიაში, სპორტსმენი დომინგის მიღებაში აშხილეს. საუბარია სიმძიმეთა აწევაში კანადის თამაშების გამარჯვებულზე ჯეკ მაკკენზე, რომელიც ინვალიდის ეტლით 76 კგ-მდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა. ინვალიდთა სპორტის კანადის ასოციაციამ მას ორი წლით აუკრძალა შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება.

ისტორია ბედნიერი დასასრულით — ასე უწოდა ამერიკის პრესამ განმარტებულ სკანდალს, რომლის გახირობაც არიან ცნობილი ნოგობურთელი მარტინ ნავრატლოვს და მისი მეგობარი, შვენიერი ჭული ნელსონი. რამდენიმე თვის წინ განაწყენებული „კოლ-ქმარი“ ერომანეთს სასამართლოში უჩიოდა. ჭული დიდ კომპენსაციას ითხოვდა, მაგრამ საჭმე ჩაცხრა ცოტა ხნის წინ მხარეების სახალხოდ შერიგდნენ. ნავრატლოვსთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ნელსონმა თავის პრეტენზიებზე უარი განაცხადა.

1991 წლის დეცემბის თასის გათამაშების ფინალური მატჩი, საფრანგეთისა და აშშ-ს ნაკრებებს შორის გაიმართება საფრანგეთის ქალაქ ლიონში 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე. მასპინძლებმა აირჩიეს ხელოვნური საფარი ეს არ აწუხებს ამერიკელებს მათ გრუნდის საფართან კორტები ურჩევნიათ, მაგრამ ასეა თუ იქნება მათი მონიშნული მოუწევთ.

ოლიმპიური ცენტლის ანთების და საბერძნეთიდან ესპანეთში ჩატანის ორგანიზატორებმა თავიანთი პროგრამა გამოაქვეყნეს ოლიმპიურ ჩირაღდანს ანთებენ 22 ივნისს და თბომავლით გადაკვეთენ ხმელთაშუა ზღვას. 23 ივნისს გემი პორტ გემპორტში შევა. 24 ივნისს კი მორბენალთა ესტაფეტა მას ბარსელონაში ჩაიტანს. მეორე დღეს ჩირაღდანი ოლიმპიადის 92-ის გახსნის ცერემონიაზე გამოჩნდება.

აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომში ამ სპორტულ ორგანიზაციას ახალი თავმჯდომარის პოსტზე წამოაყენა 49 წლის კოლორადო-სპორტსმენი ბიზნესმენი უილიამ მონტანის კანდიდატურა. ამ თანამდებობაზე მან უნდა შეცვალოს გადამდგარი რობერტ ჰელმიცი, რომელსაც წაყენებული ჰქონდა სასპორტოებრივი მოვალეობის პირადი მიხედვით გამოყენების ბრალდება.

## შპაცრაგად, სპრ. რაბი ბრიტანული თამაშია

თანაბარი იყო. მაგრამ ბოლოს მაინც ბრიტანულმა იძალეს — დარჩენილ დროში საჯარიმო და ლელო გაიტანეს და გაიმარჯვეს. შეხვედრის დამთავრებისთანავე შედგენილი უკმაყოფილო ფრანგების ბურჯმა ონდარმა გასაზღვრში მიმავალი მსაჯის საცმად გაიწია. მას შხარი აუბა გუნდის მწვრთნელმა დანიელ დუბროკამ და ახალზელანდიელი არობიტრი დევიდ ბიშოფი, ცოტა არ იყოს დაზარადა. საინტერესოა, რომ 4 წლის წინ, წინა მსოფლიო თასის ფინალში, ონდარმა და დუბროკამ (იგი მაშინ მოთამაშე იყო) ახალზელანდიელი მრავლებლები გალახეს.

გამუდმებით ვილაციის დეპლიორი იყო. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ავსტრალიელთა ლიდერმა მაიკლ ლიანაფმა ბოლო წამზე ლელო გაიტანა და თავის გუნდს ერთი ქულით მოაგებინა. ამ მატჩში ავსტრალიელმა დევიდ ქემფინომ ორი ლელო გაიტანა და კიდევ ერთხელ გააუზოხეს საერთაშორისო მატჩებში ლელოების თაისივე რეკორდი — მან უკვე 40-ს გადაჭარბა.

მთელდავად დამარცხებისა, დასაწყით სამაძ და კანადამ კარგად ითამაშეს და გაყურებულთა და გულშემატკივართა მოწონებაც დაიმსახურეს. ძლიერი

მეტოქეების დამარცხების ოცნება კი მათ, ალბათ, შემდეგისათვის გააღდეს.

კურიოზულ სიტუაციაში ახალი ზელანდიის გუნდი მათი მოთამაშე მსოფლიოს საუკეთესო ფრთის მორიგნალი მაიკლ ჯონსონს რელიეფური მრწამსის გამო კვირადღეს მოედანზე არ გადის. უკვე ნათამაშე ოთხიდან ჯონსონმა ორი არ ითამაშა (მათ შორის არც ნახევარფინალი). არ გამოვა იგი მოედანზე არც ზეგ კვირას, როცა ახალი ზელანდია ავსტრალიას შეხვდება. ზვალ კი, ინგლისი და შოტლანდია ედინბურგში ითამაშებენ პირველ ნახევარფინალს. ჩვენი პროგნოზის მიხედვით, ფინალში ახალი ზელანდია და ინგლისი უნდა გავიდნენ.

შენიშნავთ, რომ ოთხი ნახევარფინალიდან ორი ბრიტანეთის, ხოლო ორი ბრიტანეთის კოლონიაყოფილი ქვეყნების წარმომადგენელია, სადაც რაგბი თავის დროზე ბრიტანულმა შეიტანეს. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს ასეთი ქვეყნების პრიორიტეტს რაგბის სამყაროში და იმას, რომ რაგბი ქვეყნობრივად ბრიტანული თამაშია.

ერთიც, ფინალში ერთმანეთს აუცილებლად შეხვდება ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროების წარმომადგენლები. ეს კი ამ ნახევარსფეროების პირველობისათვის მუდმივი ქიშპობის ერთგვარი გაგრძელება იქნება.

### მსოფლიო თასის მეორე გათამაშება. მეოთხედფინალები.

19 ოქტომბერი. ედინბურგი  
 შოტლანდია — დასავლეთ სამია 28:6  
 შოტლანდია — 3 ლელო: ჯეფერი (№6)-2; სტიენჯერი (№14); 2 გარდასასვლა  
 ჰესთინგსი (№15); 4 საჯარიმო: ჰესთინგსი დასავლეთ სამია — 1 საჯ. ვაია (№9); 1, არეკნი: ბუშოფი (№10) პარიზი  
 საერთაშორისო — ინგლისი 10:19  
 საფრანგეთი — 1 ლ: ლაფონი (№14); 2 საჯ: ლაკრუა (№10) ინგლისი — 2 ლ: ანდერჟუდი (№11), ქარლინი (№13); 1 გარდ: ვუბი (15); 3 საჯ: ვუბი  
 20 ოქტომბერი. დუბლინი

ირლანდია — ავსტრალია 18:19  
 ირლანდია — 1 ლ. კამილტონი (№7); 1 გარდ: ჯიისი (№10); 3 საჯ: ჯიისი, 1: ჯიისი  
 ავსტრალია — 3 ლ: ქემფინი (№14) — 2, ლიანაფი (№10); 2 გარდ: ლიანაფი, 1 საჯ: ლიანაფი  
 ლილი  
 ახალი ზელანდია — კანადა 29:13  
 ახალი ზელანდია — 5 ლ: თუიგამალა (№11), ბრუქი (№8), მაქკაპილი (№12), ქირვანი (№14); 3 გარდ: ფოქსი (№10), 1 საჯ: ფოქსი  
 კანადა — 2 ლ: შარონი (№7) ტაინერი (№9), 1 გარდ: ვაიათი (№15), 1 საჯ ვაიათი.

## ჭირკვეულის დაბრუნება

სანდრდლვი განმარტების შემდეგ კვლავ დაბრუნდა სამშობლოში ტონი შუმახერი. ბოლო ათწლეულის მსოფლიოს ერთ-ერთი უველაზე პოპულარულმა მეკარემ — გვრ ეროვნული ნაკრების კარის დარაჯმა ხელი მოაწერა კონტრაქტს სახელგანთქმულ მიუნხენის „ბაიერნთან“.

შუმახერის ტრაგედია ჯერ კიდევ 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს დაიწყო. მენესის ტურნირი მის ბიოგრაფიაში უველაზე სუსტი აღმოჩნდა. მართალია გერმანიის ნაკრებმა ფინალში გასვლა შეძლო, მაგრამ მისმა მეკარემ თავი ვერაფრით ვერ გამოიჩინა და შინ დაბრუნებისთანავე იგი მკაცრი კრიტიკის ობიექტად იქცა, რასაც დამატება სკანდალი, რომელიც მისმა საქვეყნოდ განმარტებულმა წიგნმა „სასტვენმა“ გამოიწვია წიგნში ტონიმ გამოაშუქურა ბუნდესლიგაში გამეფებული ნეტატორი მოვლენები. ფეხბურთელის ვაჟაცომა და გულახდილობამ გამოიწვია ის, რომ იგი გამოეშვიდობა ჯერ თავის კლუბს „კოლდს“, რომელსაც ერთგულად ემსახურებოდა წლების განმავლობაში, შემდეგ კი გამოეყვანილი იქნა ნაკრებიდან, სადაც 76 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ამის შემდეგ განვლილი წლები მან სამშობლოსთან შორის გაატარა და სტამბოლის „ფენერბახჩეს“ აღსრულებს იცავდა რომელთანაც კონტრაქტი წლეულს შეფხვალში დაუშთავრდა.

„ბაიერნში“ შუმახერის მოწვევა ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. თვით ფეხბურთელი თავის გადაწყვეტილებას ასე განმარტავს: „როდესაც მეგობარს უპირის და იგი შევლას ვთხოვს, შენ ვალდებული ხარ დაივიწყო ძველი წყენა და დახმარების ხელი გაუწოდო“. კლუბი „ბაიერნი“ მართლაც მძიმე მდგომარეობაშია: სეროილული ტრავმა მიიღო ძირითადმა მეკარემ რამონდ აუმაზმა, ხოლო ჰერალდ ჰილბრენტაუსს და უპე გომპდარტეს გამოუცდელიობის გამო სტამბოლურა აკლავთ.

კონტრაქტის გაფორმებისას შუმახერმა იცოდა რაზე მიდიოდა. მას სათადაროგო სეპაზე ჭდობა ჰქონდა „გარანტირებულად“. ამას მე დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.



ტონი შუმახერი

ჩემთვის მთავარია, რომ გუნდმა თბილად მიიღო, მეც ყოველმხრივ ვეცდები დავეხმარო მერაღდს და უპეც ოსტატობის ამაღლებაში.


მიუნხენში ჩამოსვლის მეორე დღესვე ტონი ვარჯიშს შეუდგა ორსაათიანი „დე-ბოუტის“ ბოლოა 87 წლის ტონი არაქ-თგამოცდილი ჩანდა. მიუნხენდავად ამის მან პარტნიორთა მხრიდან საქმები სიტყვები მოიხმინა და არცთუ მცირერიცხოვან მაუურებელთა აბლოდისმენტები დაიმსახურა.

სამშობლოში ტონის დაბრუნებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი სასამოვრო ფაქტი როგორც იქნა ბოლო მოვლო შუმახერისა და გერმანიის ნაკრების მეკარის ული შტაინის ხუთწლიან კონტრაქტს, რომელიც ჯერ კიდევ 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს დაიწყო. ფეხბურთელითა შერტება მოხდა ყოველკვირეული „სპორტ-ბილდის“ ყურნალობითა ინიცატებით.

## აკოვანოვალაგი მოლიაიალაზა პილიან

ამერიკის შეერთებული შტატების კალატორთელთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლები უკანასკნელად 1986 წელს შოივო. მას შემდეგ დიდ საერთაშორისო ტურნირებზე მეორე ადგილს არ ასცილებია. ამას ძალიან განიცდიან კალატორთის ამერიკელი მოყვარულები. და აი, მოთმინების ფილა აიგსო. ამერიკელებს ისევ სურთ თავიანთი გუნდი გამარჯვებული იხილოს. ახლა ყველა იმედით შეეყურებს NBA-ს ვარსკვლავებს. მათ მოუწოდებს რომ მთელი ძალები გაავრთიანონ ბარსელონას 1992 წლის ოლიმპიადის მოსაგებად. სახელოვანი კალატორთელები გამოეხმარენ მოწოდებას. ოლიმპიური ოქროს მედლებისათვის ბრძოლის სურვილი გამოთქვეს საუკეთესოთა შორის საუკეთესოებმა. აშშ-ს კალატორთელთა ოლიმპიური ნაკრების მომზადების უზრუნველყოფის ხელმძღვანელმა სემ ნიუტონმა გამოაცხადა გუნდის შემადგენლობა. მას სათავეში უდგას NBA-ს საუკეთესო კალატორთელი 28 წლის მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო-ბულსი“, 201 სმ, 90 კგ). შემდეგ მოდიან: ლარი ბერდი („ბოსტონ სელტიქსი“, 35 წლის, 210 სმ, 100კგ); სკოტ პიპენი („ჩიკაგო ბულსი“, 26 წლის, 204 სმ, 90 კგ); ირვინ ჯონსონი („ლოს-ანჯელეს ლიქიერსი“, 32 წლის, 210 სმ, 106 კგ); დევიდ რობინსონი („სან ანტონიო სპარსი“, 26 წლის, 216 სმ, 107 კგ); ჩარლზ ბარკლი („ფილადელფია-76“, 28 წლის, 201 სმ, 113 კგ); კარლ მელოუნი („იუტა ჯაზი“, 28 წლის, 210 სმ, 116 კგ); ჯონ სტოკტონი („იუტა ჯაზი“, 29 წლის, 185 სმ, 79 კგ); პატრიკ იუინგი („ნიუ-იორკ ნიქსი“, 29 წლის, 213 სმ, 109 კგ); კრის მულინი („გოლდენ სტეტი“, 28 წლის, 204 სმ, 97 კგ).

გარდა ამ ათი კალატორთელისა, მომავალი წლის გაზაფხულზე მწვრთნელთა საბჭო საქ დეილის მეთაურობით, დაახლებებს კიდევ ორ



მაიკლ ჯორდანი

ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ ამ გუნდის თავდასხმეული ვეიმზ უორტი სცნეს. მართლაც საუცხოოდ ითამაშა მან გადამწყვეტი ფინალური მატჩი „დეტროიტ პისტონსთან“. უორტიმ გუნდს შესძინა 36 ქულა, გააკეთა 10 საგოლე გადაცემა და თექვსმეტჯერ დაეფულა ფარიდან ასხლეტილ ბურთს. მომდევნო ორმა სეზონში წარმატება „დეტროიტ პისტონს“ მოუტანა. ამ პრიზს ჯერ აიზა თომასი ფლობდა, ხოლო შემდეგ 1990 წელს ჯო დუმარსი. წლეულს ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ, რა თქმა უნდა, „ჩიკაგო ბულსის“ თავდასხმეული მაიკლ ჯორდანი აღიარეს. მისი ბრწყინვალე თამაშის წყალობით „ჩიკაგო ბულსი“ პირველად გახდა NBA-ს ჩემპიონი.

### მეზარტ კალანდაძე

კალატორთელს, რომელთაგან ერთი აუცილებლად მოყვარული უნდა იყოს. ამის შემდეგ აშშ-ს ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ამერიკის კონტინენტის გუნდების საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელიც 27 ივნისიდან 5 ივლისამდე ჩატარდება პორტლენდში. ამერიკის ათაგის ექვებმა NBA-ს ვარსკვლავების გამარჯვება, როგორც წინასწარ ტურნირში, ასევე თვით ბარსელონას ოლიმპიადაზე. სხვათაშორის, ჯორდანს, იუინგს, მულინის უკვე აქვთ მონაწილეობა ოლიმპიური ოქროს მედლები 1984 წელს ლოს-ანჯელესის თამაშებში. რობინსონმა კი 1988 წელს, სეულის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მიიღო.

# „სარბიელის“ სპონსორი, ასოციაცია „ფალავანი“

გამოცემის პარასპეკიობით

## სარბიელი

ინფორმაცია 66441

ჩვენნი მისამართი:

თბილისი 850098, კოსტავას ქ. №14  
 გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ძსს გამოთვლით ცენტრში ტელეფონი 85-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში

თბილისი, ნო.ზარაულის ქ. 29

რედაქტორი

## ზურაბ ფოცხვერია

კომერციული დირექტორი შოთა ზულუშაძე

